პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 18 (1500) ○ ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 1960 წ. ○ გამოცემის მე-16 წელი ○ ფასი 30 კაპ.

## დღის წესრიგში დგას ზამთრის სპორტის სახეობანი

◆

ვ. სამსონაძე,

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის დადგენილების — „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე ხელმძღვანელობის შესახებ“ — მიღების შემდეგ ფიზკულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. საზოგადოებრივი ძალების მოზიდვა და მათი საშუალებით ძირითადი საკითხების გადაწყვეტა იქცა იმ ქმედით ძალად, რომელმაც განაპირობა მასობრივი მუშაობისა და სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლება.

დღეს საბჭოთა კავშირის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დგას. შვიდწლიანი გეგმით უნდა მომზადდეს 17 მილიონი თანრიგოსანი, მათ შორის 30 ათასი სპორტის ოსტატი. ცხადია, ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა მივაღწიოთ სპორტის ყველა სახეობის მაქსიმალურად განვითარებას. სწორედ ამ მიზნით უკანასკნელ ხანს წამოიჭრა საკითხი, რათა სპორტის ზამთრის სახეობები თავიანთი მიღწევების დონით გაუთანაბრდნენ სხვა სახეობებს, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე დამაკმაყოფილებელი შედეგებით გამოდიან.

სიცხადისთვის ჩამოვთვალოთ თუ რა შედის ზამთრის სახეობებში: სათხილამურო რბენა, ტრამპლინიდან ხტომა, სამთო ორჭიდი, სწრაფდაშვება, სლალომი, გიგანტური სლალომი, ბიატლონი, ჰოკეი, ციგურებით რბენა და ციგურებით ფიგურული სრიალი.

ახლა ჩვენი ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში დაიწყო ხელოვნური საციგურაოების მშენებლობა, ასეთი საციგურაო გვექნება ჩვენც, თბილისში, როცა დამთავრდება სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობა საბურთალოში. ამას გარდა, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საკავშირო საბჭომ ზამთრის სპორტულ სახეობათა შემდგომი ამაღლების მიზნით გადაწყვიტა სისტემატურად ჩაატაროს მასობრივი კომპლექსური ღონისძიებანი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. 1961 წელს განზრახულია მთლიანი პროგრამით მოეწყოს ათი რესპუბლიკის შეჯიბრება, რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობთ, ხოლო 1962 წელს ბაკურიანში გაიმართება ზამთრის სპარტაკიადა ყველა რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების მონაწილეობით.

როგორც ვხედავთ, ზამთრის სახეობათა განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში მეტად საგულისხმო გეგმებია დასახული. ყოველივე ეს გვავალებს გადავხედოთ ჩვენს დამოკიდებულებას ზამთრის სპორტის სახეობებთან, შევისწავლოთ ყველა შესაძლებლობა და შესაბამისად გავშალოთ მუშაობა. ჩვენ საშუალება გვაქვს რესპუბლიკაში დავნერგოთ ზამთრის სპორტის თითქმის ყველა სახეობა და ეს აუცილებელიცაა, ვინაიდან მომავალ დიდ ღონისძიებებში რესპუბლიკა უნდა წარსდგეს არა მარტო სლალომისტებით და ტრამპლინიდან მხტომელებით როგორც უწინ, არამედ ჰოკეის გუნდით, მოციგურავეებით და სხვ.

სათხილამურო სპორტი ცოტად თუ ბევრად რესპუბლიკის 27 რაიონშია კულტივირებული. სექციების მეცადინეობაში ჩაბმულია 9 ათასზე მეტი კაცი, გვყავს მაღალი კლასის სპორტსმენები. სათხილამურო სახეობებიდან უფრო მეტი სიყვარულით სარგებლობს სამთო-სათხილამურო სპორტი. ყველას მოგეხსენებათ კობა წაქაძის გამოსვლები საერთაშორისო სარბიელზე. ძლიერი სპორტსმენები არიან ლ. გოგოლაძე, პ. თვაური და სხვები, მაგრამ რბენებში აშკარად სავალალო მდგომარეობაა. ჩვენმა მწვრთნელებმა დღეისათვის ვერ

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)



სურათზე: სლალომში გამარჯვებული ბაკურიანელი ლ. გოგოლაძე.



საქართველოს პირველობა სათხილამურო სპორტში

◆

## ქვლავ ბაკურიანში

სსრ კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრებაზე, რომელიც ამას წინათ მოეწყო ბაკურიანში, საქართველოს სპორტსმენებს, რომელთა რაოდენობა ისედაც მცირე იყო, სახარბიელო შედეგები არა ჰქონიათ. მხოლოდ კ. წაქაძემ და ლ. გოგოლაძემ შეძლეს რესპუბლიკის სპორტული ღირსების სათანადოდ დაცვა. მაშინდელი წარუმატებლობის ძირითადი მიზეზები უნდა ვეძებოთ სწორედ იმ ფაქტებში, რომელიც ამჟამად აქ მიმდინარე რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველ დღეებში გამოვლინდა. ესაა სათხილამურო სპორტის არასათანადო მასობრიობა, მოთხილამურეთა დაბალი ტექნიკური მომზადება. იმ რაიონებშიც კი, სადაც არსებობს შესაფერი პირობები, თხილამურებს არ უთმობენ სათანადო ყურადღებას და კმაყოფილდებიან შეჯიბრების წინა დღეებში ხანმოკლე შეკრებისა და წვრთნის ჩატარებით.

რესპუბლიკის პირველობაში მონაწილე 8 გუნდიდან ქალთა სლალომში მონაწილენი ალმოჩნდნენ მხოლოდ სამნი (ბორჯომი, ფიზკულტურის ინსტიტუტი და მესტია). აქაც ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა ბაკურიანელმა ლ. გოგოლაძემ — 1.31,3 წამი. თანაც, საჭიროა აღინიშნოს, რომ ტრასა თავისი სიძნელით საგრძნობლად ჩამორჩებოდა საკავშირო შეჯიბრების დისტანციას, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მონაწილეთა მომზადების დაბალი დონით.

ანალოგიური მდგომარეობა განმეორდა ვაჟთა სლალომშიც. 28 სპორტსმენიდან მეორე ცდაზე სტარტი არ აუღია 13-ს, რომელთაც ზოგს ტრასის გავლისა შეეშინდა, ზოგიც მოიხსნა მოუმზადებლობისათვის. ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ორივე ცდაზე ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ განვლო ტრასა, იყო ბორჯომის გუნდის წევრი ი. ჯანგობეგოვი. მისასალმებელია მესტიელი სპორტსმენების გ. ჯაფარიძის, ა. დადვანისა და IX კლასის მოსწავლე მ. ნიგურიანის კარგი მაჩვენებლები.

ქალთა რბენაში 5 კილომეტრზე გამარჯვების ძირითად პრეტენდენტებს წარმოადგენენ აჭარის გუნდის წევრი ვ. იურკინა, ბაკურიანელი ვ. გავა და მესტიელი ლ. ჯაფარიძე. მართლაც, საპრიზო ადგილები მათს შორის განაწილდა ჩამოთვლილი თანმიმდევრობით.

ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის უპირატესობით აღინიშნა ვაჟთა რბენა 15 კმ.-ზე, სადაც გამარჯვებულმა ჯ. წაქაძემ 2,5 წუთით მოუგო ბაკურიანელ ა. ქუმარიტაშვილს. მხოლოდ ეს ორი სპორტსმენი გამოვიდა 1-საათიანი ზღვარიდან. ორჭიდელებიდან რბენაში 9 სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთაგან მხოლოდ ერთმა — ჯ. წაქაძემ აჩვენა მეორე თანრიგის შედეგი. ოთხი მონაწილე კი ჭაბუკთა თანრიგის შედეგით (!) დაკმაყოფილდა.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები: ქალები. **სლალომი.** — ლ. გოგოლაძე — 1.31,3; ქ. ჯეირანაშვილი — 1.38,4; რ. ბანდური — 1. 57,8 (სამივე ბორჯომი). **რბენა 5 კმ** — ვ. იურკინა (აჭარა) — 25.47; ვ. გავა (ბორჯომი) — 25.48; ლ. ჯაფარიძე (მესტია) — 28.00.

ვაჟები. **სლალომი.** — ი. ჯანგობეგოვი (ბორჯომი) — 1.45,5; ო. ხვედელიძე (ფიზკ. ინსტიტუტი) — 2.03,4; ა. ჯეირანაშვილი (ბორჯომი) — 2.05,1. **რბენა 15 კმ.** — ჯ. წაქაძე (ფიზკ. ინსტიტუტი) — 57.49; ა. ქუმარიტაშვილი (ბორჯომი) — 59.54; შ. კობახიძე (ფიზკ. ინსტიტუტი) — 1.00.26.

ო. ბელაშვილი,

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

## ჩემპიონატი ლენინგრადში

ლენინგრადი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). 10 თებერვალს აქ შედგა სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგი ტური.

ყურადღების ცენტრში იყო კორჩნოი-პოლუგაევსკის პარტია, სადაც გამარჯვება მოიპოვა კორჩნოიმ. გელერმა დაამარცხა ტაიმანოვი, ხოლო კროგიუსმა — სახაროვი.

ფრედ დამთავრდა ავერბახ-სიმაგინის, ბაგიროვ-ნეისა და სუეტინ-ლუტიკოვის პარტიები.

ბრონშტეინ-ლიბერზონის, პეტროსიან-გუფელდის, გურგენიძე-შამკოვიჩისა და სპასკი-სმისლოვის პარტიები გადადებულია.

გურგენიძეს აქვს ზედმეტი პაიკი და გამარჯვების დიდი შანსები.

## გ. პოლულიახი— მესამე ადგილზე

მოსკოვში მოეწყო სსრ კავშირის პირადი პირველობა ტრამპლინიდან წყალში ხტომაში. ჩემპიონის წოდებისათვის იბრძოდნენ უძლიერესი სპორტსმენები, რომელთა რიცხვში იყვნენ საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონები. გამარჯვება წილად ხვდა ვაჟთა შორის — რ. ბრენერს (133,03 ქულა), ხოლო ქალთა შორის — ვ. დედოვას (120,74 ქულა).

შეჯიბრებაზე წარმატება მოიპოვა საქართველოს წარმომადგენელმა გ. პოლულიახმა, რომელმაც 125,79 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

## 100 მეტრი—10.4 წამში

ლენინგრადში მოეწყო „ტრუდის“ მძლეოსანთა შეჯიბრება, სადაც ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა თარჯრბენში ა. მიხაილოვმა. მან დახურულ დარბაზში 100 მეტრი გაირბინა 10,4 წამში, რაც მსოფლიოში საუკეთესო მიღწევაა დახურული დარბაზის პირობებში.

## წინაოლიმპიური...

დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს მსროლელთა შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც 5 დღეს გრძელდებოდა თბილისში.

შეჯიბრების მესამე დღეს სპორტსმენები იბრძოდნენ ნებისმიერი საბრძოლო შაშხანიდან, მცირეკალიბრიანი ნებისმიერი შაშხანიდან და მცირეკალიბრიანი ნებისმიერი პისტოლეტიდან სროლაში, სამივე ამ სახეობაში კარგი შედეგები ჰქონდათ საქართველოს წარმომადგენლებს შ. ქველიაშვილს და ვ. სალუქვაძეს.

ამრიგად, დამთავრდა წინაოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრების პირველი ეტაპი. 45 საუკეთესო მსროლელი, რომელთა რიცხვში არიან საქართველოს წარმომადგენლებიც შ. ქველიაშვილი და ვ. სალუქვაძე, გაემგზავრა სოხუმში, სადაც ისინი გაივლიან საწვრთნელ შეკრებას. 5-15 აპრილს კვლავ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება შეჯიბრების მეორე ეტაპი, ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ — 10 ქალაქის მატჩი. შეჯიბრება გამოავლენს იმ 30 უძლიერესს, რომლებმაც უნდა კვლავ განაგრძონ ბრძოლა სხვადასხვა შეჯიბრებებში, რათა მოხვდნენ საბოლოოდ დადგენილ 10 უძლიერეს მსროლელთა რიცხვში. ეს 10 კაცი ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს ოლიმპიურ თამაშებზე.

(დასასრული)

მოგვცეს ვერც ერთი მოთხილამურე ხტაიერი. ახლა საკითხი ასე დგას: ვინაიდან ჩვენს რესპუბლიკაში არის შესაფერისი პირობები, რათა აღიზარდონ ხამთო მოთხილამურეები და ტრამპლინიდან მხტომელები, ამიტომ საკავშირო საბჭო პირდაპირ აყენებს საკითხს, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს მივცეთ ისეთივე მაღალი კლასის ხამთო მოთხილამურეები, როგორსაც ჩვენ ვზრდით, ვთქვათ, მოჭიდავეებს, კალათბურთელებს, ფეხბურთელებს და ა. შ.

და რომ ყოველივე ზემოთქმული ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარდეს, პირველ რიგში საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს ბაკურიანის კეთილმოწყობის საკითხი. მიმდინარე წელს იქ ბევრი რამ გაკეთდა: გაყვანილ იქნა გიგანტური სლალომის ტრასა, რომელიც სპეციალისტთა აზრით არ ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ ტრასებს, მოეწყო საბაგირო გზა და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს წვეთია ზღვაში.

ბაკურიანში უნდა ჩატარდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა, ეს კი ნიშნავს იმას, რომ იგი გადაიქცევა საერთაშორისო სარბიელად, ამიტომ დროა პროექტების შედგენიდან პრაქტი-

# დავნერგოთ, განვავითაროთ, შევაყვაროთ ახალგაზრდებს ზამთრის სპორტის სახეობანი — ჰოკეი, ციგურებით რბენა, ფიგურული სრიალი!

# დღის წესრიგში დგას ზამთრის სპორტის სახეობანი

კულ საქმიანობაზე გადავიდეთ და ბაკურიანის კეთილმოწყობის საკითხი რეალობად ვაქციოთ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა მარტო ბაკურიანზე. თუ ჩვენ გვინდა ზამთრის სპორტის სახეობებში ნამდვილ მასობრიობას მივაღწიოთ და გვყავდეს არა მარტო მოთხილამურეები, არამედ ჰოკეისტები და მოციგურავეებიც, მაშინ თუნდაც მარტივი ბაზები უნდა მოვაწყოთ რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებშიც. მაგალითად ხულოში, ახალქალაქში, ახალციხეში, მესტიაში, ყაზბეგში, ამბროლაურში.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას ამ მიმართებით. თუ გადავხედავთ ახლო წარსულს, დავინახავთ, რომ დედაქალაქის ყველა უმაღლეს სასწავლებელს ჰყავდა სექციები, რომლებიც საწვრთნელ ვარჯიშს ბაკურიანში ატარებდნენ, ახლა ასეთი სექციები იშვიათი მოვლენაა და ძირითადად შემთხვევითი ხალხით არის დაკომპლექტებული. ამას გარდა, უნდა მოგვარდეს კოჯორში ან წყნეთში სათხილამურო ბაზის შექმნის საკითხი. იგი რამდენიმეჯერ იდგა დღის წესრიგში, სათხილამურო ბაზის ადგილი დაზუსტებულია და საჭიროა მისი პრაქტიკულად გადაწყვეტა. მშვენიერი რელიეფური მდებარეობა აქვს „ბურევესტნიკის" სტადიონს. აქ შეიძლება აგებულ იქნას ტრამპლინი ხელოვნური საფენით. იგი შესანიშნავი საშუალება იქნება წელიწადის ყოველ დროში სამეცადინოდ.

ძნელი ამოცანებია დასაძლევი ციგურებით რბენის, ჰოკეისა და ფიგურული სრიალის დანერგვაგანვითარებაში. აქ საქმე ცარიელი ადგილიდან უნდა დავიწყოთ, ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ იქნას ათვისებული ის დიდი გამოცდილება, რომელიც საბჭოთა კავშირის სპორტის ამ სახეობათა სპეციალისტებს გააჩნიათ. ეს ეხებათ ფიზკულტურისა და სპორტის კვლევით ინსტიტუტსა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო კათედრას, საჭიროა ახლავე ვიზრუნოთ მწვრთნელთა კადრების აღზრდაზე, სათანადო ლიტერატურის თარგმნაზე და, რაც მთავარია, ინვენტარის შემოზიდვასა, აგრეთვე მისი ადგილობრივი ძალებით დამზადებაზე. სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარების ძირითად ბაზად თბილისი უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამიტომაა განზრახული საბურთალოს სადემონსტრაციო დარბაზის გარდა ხელოვნური საციგურაო აგებულ იქნას სტალინის სახელობის პარკში (ფუნიკულორი). ასეთივე მოედნის აშენება შეიძლება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე, ბაკურიანში და ამას გარდა ყველგან, სადაც კი საამისო ბუნებრივი პირობები არსებობს. ერთი სიტყვით, თუ კი დღემდე ჩვენი რესპუბლიკის თოვლიანი რაიონები ზამთრის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ სპორტულ ცხოვრებას, ახლა აქ დიდი საქმე გაუჩნდათ.

სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკურმა კავშირმა გადაწყვიტა მოაწყოს სპეციალური ექსპედიცია, რომელიც შეისწავლის და დააზუსტებს რესპუბლიკის თოვლიანი რაიონების შესაძლებლობას ზამთრის სპორტის სახეობათა განვითარების საქმეში და დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს.

ასეთია ის ამოცანები, რომლებიც დღეს დგას რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციათა წინაშე. ამოცანები სერიოზულია და ჩვენგან მოითხოვს დაუზარებელ, ენერგიულ მუშაობას, რათა არ ჩამოვრჩეთ მოძმე რესპუბლიკებს სპორტის ზამთრის სახეობებშიც.

## ყინულის საციგურაო

არსებობს ყინულის საციგურაოს ორი ტიპი: ხელოვნური და ბუნებრივი.

ბუნებრივი საციგურაოს გეგმა მოცემულია № 1 სურათზე. აქ მოყვანილი მონაცემებით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ ხელოვნური საციგურაოს მოწყობის დროსაც.

ასეთი საციგურაოსათვის მიზანშეწონილია ადგილი შეირჩეს დასახლებული ადგილის ახლოს. ამ შემთხვევაში იგი კარგად იქნება დაცული ცივი ქარებისაგან. საციგურაოს მოწყობას უნდა შევუდგეთ ასე: გავწმინდოთ მოედანი თოვლისაგან ისე, რომ ყინულის ფენა 6 სანტიმეტრზე ნაკლები არ იყოს და საციგურაო ადგილი შემოვღობოთ ხეებით ან თოვლის მაღალი ჯებირით, რომელიც საციგურაოს დაიცავს ქარისა და ნამქერისაგან. რომ საციგურაოს ყინული არ დაიბზაროს, ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაცილებით საჭიროა გაკეთდეს ყინულჭრილები (2.0×0,5) და ამოვავსოთ ისინი თოვლით. ყინულჭრილები კეთდება არა წყლის ფენამდე, არამედ მისგან 5-7 სანტიმეტრის დაცილებით, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში წყალი წალეკავს თოვლს.

ასეთ საციგურაოზე მეცადინეობა იწყება მაშინ, როცა ყინულის სისქე 12 სანტიმეტრს მიაღწევს. ახლადშექმნილ ყინულზე ვარჯიში უნდა დავიწყოთ 8-9 დღის შემდეგ (თუ 5-6 გრადუსი ყინვაა), ან 5-4 დღის შემდეგ, თუ ტემპერატურა უფრო დაბალია.

## ხელოვნური საციგურაო

ხელოვნური საციგურაო (იგივე ნახაზი) შეიძლება სწრაფად გაკეთდეს ყოველ სწორ მოედანზე, მაგრამ ერთი პირობით: ნიადაგი არ უნდა იყოს ძალზე ქვიშიანი, თუ ახლომახლო გაგვაჩნია წყალსადენი, ნორმალური მოედნის მოსარწყავად საჭიროა 2-3 დღე. მეცადინეობის წარმოება შეიძლება, თუ ყინულის სისქე 5 სანტიმეტრია. როგორ მოვრწყათ საციგურაო? როცა მოედანს გამოვნახავთ და გავწმენდთ მას თოვლისაგან ისე, რომ დარჩეს თოვლის მცირე ფენა (3-6 სანტიმეტრი), საჭიროა მისი დატკეპნა. მოედნის გარშემო ეწყობა მცირე სიმაღლის თოვლის ან მიწის ჯებირი, რომელიც ირწყვება. საციგურაოს მორწყვა ხდება მხოლოდ დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში.

მოედნის მორწყვა ხდება ცენტრიდან. საამისოდ უკეთესია გამოვიყენოთ წყალსადენის წყალი, ვინაიდან იგი სუფთაა, მკვრივ ყინულს იძლევა და 2-3 გრადუსი სითბოს შემთხვევაშიც კი არ დნება.

| საციგურაოს დასახელება | საციგურაოს ზომები მეტრებში: სიგრ. ა | სიგ. ბ | ერთდროული [illegible] | ჰოკეის მოედნის ზომები (მეტრებში) | საციგურაო ბილიკების მოხვევის რადიუსები: სიგრ. მეტრ. | გ | დ | მოხვევის ცენტრებს შორის მანძილი მეტრებში | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მარტივი . . . . . . . . | 83 | 52 | 400 | 60×30 | 200 | 20,0 | 23,0 | 30,87 | სპორტმოედნებისათვის |
| მცირე სპორტული . . . | 152 | 70 | 700 | 105×67 | 333$^{1}/_{3}$ | 24,0 | 29,0 | 81,76 | |
| ნორმალური სპორტული . | 185 | 72 | 1000 | 105×65 | 400 | 25 | 30 | 111,95 | სტადიონებისათვის |

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა ამას წინათ მიიღო ვრცელი დადგენილება ზამთრის სპორტული სახეობების შემდგომი აღმავლობისათვის. დადგენილებაში სხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად გათვალისწინებულია ბაზების მშენებლობის საკითხი, კერძოდ, საციგურაოებისა. ამიტომ ვბეჭდავთ მასალას იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს საციგურაოები.



სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო წყვილს ფიგურულ სრიალში, ლუდმილა ბელოუსოვასა და ოლეგ პროტოპოპოვს, რომელთაც არაერთხელ უსახელებიათ თავი როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.




## საციგურაო ბილიკი

საციგურაო ბილიკის მოსაწყობად საჭიროა ყოველი ტიპის, თუნდაც პატარა ზომის საციგურაოს გამოყენება. № 1 სქემაზე მოცემულია საციგურაო ბილიკის მონიშვნის სქემა, რომელიც შედგება ორი ბილიკისაგან — შიდა (პირველი) და გარე (მეორე) ბილიკები. თვითეულის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 3-5 მეტრს. ბილიკის საანგარიშო სიგრძე, ე. ი. წრის სიგრძე მოცემულია ნახატზე. დისტანციის მანძილი გაიზომება წარბიდან 50 სანტიმეტრის დაცილებით. რბენა წარმოებს საათის ისრის მიმართულებით. აქ მოცემულია საციგურაო ბილიკების სხვადასხვა სახეები, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ საციგურაოს მონიშვნისას.

ბილიკის საზღვრები ყინულზე მოინიშნება ფუნჯით, მელნის ან საღებავის გამოყენებით. ხაზის სიგანე 3-5 სანტიმეტრს უდრის. ბილიკის მონიშვნის შემდეგ მას რწყავენ და მონიშნული ხაზები რჩება ყინულის ქვეშ, რომ არ წაიშალოს. ყოველგვარი დაბრკოლება ბილიკის საზღვრიდან 2 მეტრის დაცილებით უნდა გადავიტანოთ.

თუ გვინდა, რომ საციგურაოსა და ბილიკების ყინული ყოველთვის კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, იგი დროულად უნდა გავწმინდოთ თოვლისა და ციგურებით სრიალის შემდეგ დარჩენილი ყინულის მტვრისაგან. ამისათვის იყენებენ ორსახელურიანი ფართო ფანერის ნიჩბებს, რომლის გაკეთება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

საციგურაოს მოედნისა და ბილიკების გაწმენდა უნდა ვაწარმოოთ მაშინვე, როგორც კი დაიწყება თოვა.

# ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ



სურათებზე: თბილისელი ჯ. დავლიანიძე (ზემოდან) ატარებს ილეთს. ქვევით — ვ. რუბაშვილისა და ხ. კოჩიევის (პაერშია) ჭიდაობის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა თავისუფალ ჭიდაობაში მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტული დარბაზი ჭიდაობის მრავალრიცხოვანი მოყვარულებითაა სავსე.

შეჯიბრების საზეიმო გახსნის წინ დარბაზს უსიამოვნო ცნობა მოედო: როგორც გამოირკვა, ტურნირში არ მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უძლიერესი მოჭიდავეები, საქართველოს ნაკრების წევრები, საბჭოთა კავშირის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.

— ბოლოსდაბოლოს სად უნდა ვნახოთ მათი გამოსვლა? — გულმოსული კითხულობდა ვიღაც ხანდაზმული მოყვარული, — მაინცდამაინც ირანში უნდა გავყვეთ ჩვენს ფალავნებს, რომ ერთხელ მაინც ვიხილოთ მათი გამოსვლა?

ჩვენ სხვა პრეტენზიები გვაქვს ნაკრების წევრთა მიმართ. რესპუბლიკურ პირველობაში უმთავრესად ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობენ, რომლებმაც დროთა განმავლობაში უნდა შესცვალონ ჩვენი წამყვანი მოჭიდავეები, ამიტომ ერთიორად საინტერესო იქნებოდა უძლიერესთა მონაწილეობა ტურნირში. სად შეიძლება ახალგაზრდა ოსტატთა შემოწმება, თუ არა სახელოვან ფალავნებთან ორთაბრძოლაში?

საქართველოს პირად პირველობაში ნაკრების წევრთაგან მონაწილეობენ მხოლოდ შეყრილაძე, რუბაშვილი, დავლიანიძე, გოგიბედაშვილი და ლომიძე. დანარჩენი ოსტატები გამოდიან ან მსაჯთა, ან მაყურებელთა როლში. ჩემპიონატის პირველივე წრე აღინიშნა მოულოდნელობით. ქვემძიმე წონაში გოგიბედაშვილმა წმინდად წააგო ბრძოლა ახალგაზრდა მჭედლიძესთან. მართალია, გოგიბედაშვილი ბეჭებზე აღმოჩნდა თავისივე ფანდის შედეგად, მაგრამ ისიც ხომ საქმეა, რომ ახალგაზრდა სპორტსმენმა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა გამოცდილი ოსტატი.

აი კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა რუბაშვილისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელს კოჩიევს შორის. რუბაშვილის მაღალი ოსტატობა ყველამ კარგად იცის, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზი იყო მისი მოწინააღმდეგის — კოჩიევის შეუპოვრობა და დახვეწილი ტექნიკა. ეს შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ფრედ, მაგრამ შედეგს იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც თვით ფაქტს. ქვემსუბუქ წონაში კოჩიევის სახით ჩვენმა წამყვანმა მოჭიდავეებმა ღირსეული მეტოქე ნახეს.

როცა ლაპარაკია ნიჭიერ ახალგაზრდებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს ძმები შენგელიები, რომლებიც ერთსადაიმავე წონით კატეგორიაში გამოდიან — ქვესაშუალოში. უმცროს ძმას თავის შესაძლებლობათა გამოცდა მოუხდა გამოცდილ ოსტატ გაბარაევთან და იგი ჩინებულად ჩაბარა. ფრე ამ შეხვედრის უტყუარი შედეგი იყო. უმცროსი შენგელია ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. მისი ძმა ერთი წლით უფროსია, მაგრამ მას მეტი გამოცდილება, ძალა და მოქნილობა აქვს. თბილისელ მჭედლიშვილთან ბრძოლაში მან საკმაოდ დახვეწილი ტექნიკა გვიჩვენა. ჩოქბჯენში ქვემოდან უფროსმა შენგელიამ შეძლო კონტრილეთის ეფექტური ჩატარება და წმინდად გაიმარჯვა.



საქართველოს პირველობაზე თბილისელ მოჭიდავეთა გარდა მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, წყალტუბოს, სამხრეთ ოსეთის, საგარეჯოს, ონის, ახმეტის, მცხეთისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. როგორც ხედავთ, ჩემპიონატის გეოგრაფიული ჰორიზონტი საკმაოდ ვრცელია, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია. ჯერჯერობით ადრეა ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ უფრო გამოიჩენს თავს, ერთი კი სტარტზევე გახდა ნათელი: ქუთაისის და სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები ყურადღებით ეპყრობიან თავისუფალი ჭიდაობის განვითარების საქმეს. ეს პირველ რიგში მწვრთნელების ი. ბობოხიძის, ვ. გიგიაძისა (ქუთაისი) და კორაევის (სტალინირი) დამსახურებაა. სამხრეთ ოსეთის ჭიდაობის სექცია ითხოვს კიდევ ერთ კვალიფიციურ და გამოცდილ მწვრთნელს რაიონში სამუშაოდ. ეს მოთხოვნა სამართლიანია, ვინაიდან აქ შეიძლება მაღალი კლასის ოსტატთა გამოზრდა. იმედია, რესპუბლიკური ფედერაცია დააკმაყოფილებს თავისი უმცროსი კოლეგის მოთხოვნას და ადგილზე მიავლენს საქმის მოყვარულ, გამოცდილ მწვრთნელს.

**ნ. ბუზუშვილი**

# საქართველო—აზერბაიჯანი

ორი რესპუბლიკის უძლიერეს მოცურავეთა სამატჩო შეხვედრაში პირველ დღეს მოპოვებული წარმატება კიდევ უფრო განამტკიცეს საქართველოს სპორტსმენებმა. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში ქალთა შორის მხოლოდ ერთი სტუმარი — ო. ლუნევა მოხვდა. მან, მართალია, წინასწარ გაცურვებში ნაჩვენები დრო საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ ფინიშთან მაინც მეოთხე იყო. პირველი სამი ადგილი მასპინძლებს — რ. არკადიევას, ი. ამნიაშვილსა და ლ. ბერძენიშვილს დარჩათ, ასევე პირველ სამეულში მოხვდნენ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თბილისელი მოცურავე ვაჟები — ლ. გიორგაძე, ქ. კარბუკოვი და ი. გიორგობიანი (1.00,9, 1.01,5 და 1.01,8).

შეჯიბრებაში მონაწილე სამი ოსტატიდან მხოლოდ ზურგზე მოცურავე თბილისელმა ბ. კამენსკამ შეძლო სპორტის ოსტატის ნორმატივს 1,1 წამით მიახლოვებოდა. ამ მაღალი შედეგით (100 მეტრი 1 წუთსა და 06 წამში) ბ. კამენსკამ პირველი ადგილი დაიკავა ზურგზე ცურვაში და ქულათა დიდი რაოდენობა მოუტანა თავის გუნდს.

როგორც წინასწარ გაცურვებში, ისე ფინალში 200 მეტრზე ბრასის სტილით პირველი იყო თბილისელი ლ. კრილოვა. მან გადალახა 3-წუთიანი ზღვარი და რესპუბლიკური მიღწევა (3.00,6) გააუმჯობესა 1,8 წამით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდს აკლია უძლიერესი ბრასისტი ა. ანტონიანი, ფინალის ყველა მონაწილის შედეგი პირველ თანრიგზე მაღალი აღმოჩნდა. საინტერესო ბრძოლა პირველობისათვის თბილისელ ო. ემეცის გამარჯვებით დამთავრდა.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების უპირატესობა აშკარა იყო. ქალებში პირველი სამი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს რ. არკადიევამ, ი. ამნიაშვილმა და ლ. ბერძენიშვილმა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო სპორტის ოსტატი ბ. ნიკიტინი, რომელმაც დისტანცია 4 წუთსა და 48 წამში გაცურა.

გუნდების მდგომარეობაში ცვლილებები ვერც ესტაფეტამ (4×200 მ) შეიტანა. საქართველოს ძლიერ გუნდს, რომლის შემადგენლობაში ბ. ნიკიტინი, რ. მეშჩეროვი, ი. ბინიუკოვი და გ. კარბუკოვი გამოდიოდნენ, სტუმართა გუნდმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ორი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩი დამთავრდა მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით.

**ა. ბარნოვი**

# „ბ" ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

### ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

9 თებერვალს შედგა ქალთა გუნდების შეხვედრათა დასკვნითი ტური. მოედანზე გამოვიდნენ უნივერსიტეტისა და უცხო ენათა ინსტიტუტის კალათბურთელები, რომელთა შეხვედრასაც უნდა გადაეწყვიტა ჩვენი რესპუბლიკიდან „ბ" კლასში საბჭოთა კავშირის პირველობაზე მონაწილე გუნდის საკითხი. მაგრამ ამ გუნდების შანსები თანაბარი როდი იყო: უნივერსიტეტის გუნდს, რომელსაც აქამდე არ ჰქონდა არცერთი წაგება, მიზნის მისაღწევად 6 ქულით წაგებაც კი აწყობდა, ხოლო მათ მეტოქეებს — მხოლოდ 7 ქულით მოგება.

თამაში უნივერსიტეტელთა ინიციატივით დაიწყო. მეოთხე წუთზე ანგარიში იყო 10:1. ამან მნიშვნელოვნად განსაზღვრა ბრძოლის შემდგომი მსვლელობის ბედი. უცხო ენების ინსტიტუტის სპორტსმენები მთელი თამაშის მანძილზე საკმაოდ საგრძნობი განსხვავების „ლიკვიდაციას" ესწრაფოდნენ, მაგრამ მიზანი მიუღწეველი დარჩა. უნივერსიტეტის კალათბურთელებმა დამაჯერებლად ჩაატარეს შეხვედრის დასკვნითი ეტაპიც და მიაღწიეს გამარჯვებას — 45:33.

ამ დღეს დამთავრდა ყველა თამაში ვაჟთა ქვეჯგუფებში. პირველ ქვეჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა ქუთაისის გუნდი, ხოლო მეორეში —თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს კოლექტივი.

გუშინ შედგა გადამწყვეტი მატჩი თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოსა და ქუთაისის ვაჟთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 59:44.

# ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ბათუმის სპორტსკოლის დარბაზში მოეწყო აჭარის პირველობა კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ „განთიადის", „ვოდნიკის", „შრომითი რეზერვების", პედინსტიტუტის, „კოლმეურნისა" და სპორტსკოლის ნაკრები გუნდები.

ქალთა შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივმა (მწვრთნელი გ. მენაბდე), ხოლო ვაჟთა შორის ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა სპორტსკოლის კოლექტივმა (მწვრთნელი ტ. სერგიაშვილი).

**რ. კაკაბაძე**

# ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

### ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲓᲐᲜ

ჭადრაკს სიმყუდროვე შვენის, მაგრამ დიდ ტურნირებზე, სადაც გრძნობათა ღელვის ამპლიტუდა მაღალია, ძნელია დაიცვა სიმყუდროვე. ეს კარგად ეხსომებათ მათ, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია XXVI ჩემპიონატის რომელიმე ტურს შარშან. თითქმის იგივე სურათია ლენინგრადის ფიზკულტურის სახლში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თბილისში მაყურებელი იჯდა, აქ კი იგი „დასეირნობს", რატომ? იმიტომ, რომ ტურნირი ერთდროულად ორ მეზობელ „მინდორზე" მიმდინარეობს. არ ნახო როგორ თამაშობს სპასკი, არ შეიძლება, მაგრამ პეტროსიანის სანახავად მეორე დარბაზში უნდა გამოხვიდე. ამიტომ მაყურებელი თითქმის სულ ფეხზეა.

— ეს ხანდახან ხელს გვიშლის.— თქვა დ. ბრონშტეინმა. — როცა ვიწყებ კომბინაციას, ვემზადები ხმაურის ასატანადაც, რადგან ფიგურის შეწირვას იგი აუცილებლად თან მოჰყვება. ჯერ კიდევ ორი წლის წინ შევიტანე წინადადება, რომ მოჭადრაკეებმა ითამაშონ ცალკე ოთახში, ხოლო მათი პარტიების დემონსტრაცია დიდ დარბაზში ხდებოდეს, სადაც ნებადართულია ხმამაღალი ლაპარაკი, კომენტარები. სამწუხაროდ, ჩემი წინადადება არ მიიღეს.

უკვე გადაწყდა: XI ტურიდან ტურნირი გაგრძელდება პირველი ხუთწლედის სახელობის კულტურის სახლში. აი, იქ კი სამდურავი არაფერი გვექნება.

• • •

ზოგიერთ ოსტატსა და გროსმაისტერს არ შეუძლია თამაში თამბაქოს მოუწევლად. ყველაზე უფრო ამას ვერ შეეგუა ბ. გურგენიძე. სახაროვთან მას მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მოსანახი იყო თამაშის გეგმა. გურგენიძე ჩაფიქრდა, ამოიღო პაპიროსი და მაშინვე იგრძნო მსაჯების მკაცრი მზერა. ადგა, გავიდა, მოსწია, დაბრუნდა და ამასობაში დაკარგა ძვირფასი დრო, რის შემდეგ „ალამზე ჩამოკიდებული" თამაშობდა. ამასვე განიცდიან გელერი, კორჩნოი... რას იზამ!

—უნდა გადაეჩვიონ, — თქვა საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. ალატორცევმა. — მოჭადრაკეები თამბაქოს არ უნდა ეწეოდნენ. რა დააშავა იმან, ვინც არ ეწევა, როცა მისი მიმართულებით კვამლის შლეიფს უშვებენ.

• • •

ტურნირს რამდენიმეჯერ დაესწრო მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ე. ბიკოვა. მის „ამალაში" იყვნენ ლენინგრადელი ოსტატები ო. სემიონოვა და ახალგაზრდა ფ. დმიტრიევა. მსოფლიო ჩემპიონი დაუზარებლად იწერდა პარტიებს, ხოლო „სეფე ქალები" გატაცებით ადევნებდნენ თვალს ბრონშტეინ-ლუტიკოვის პარტიის მსვლელობას.

— რა ლამაზი კომბინაციაა. — მოიწონა დმიტრიევამ ბრონშტეინის კუს შეწირვა. კომბინაციამ ყველა გაიტაცა. ეს იყო პირველი „რომანტიკული" პარტია პირველობაზე, რომელიც ბრონშტეინმა შესანიშნავად დააგვირგვინა.

— მოგეწონათ? — ვკითხე მოჭადრაკე ქალებს.

— ძალზე.

— იცით, იგი ქალების პარტიებს მაგონებს!

— როგორ, დაგვცინით? — მიპასუხა ბიკოვამ, — ჩვენც ვიცით თამაში.

— როგორ გეკადრებათ. პირიქით, მინდა შევაქო ქალების თამაში, სადაც ჯერ კიდევაა დარჩენილი რომანტიკა. მამაკაცების თამაშში დიდი ადგილი მშრალ ტექნიკას უკავია.

ბიკოვას ესიამოვნა, მაგრამ მაინც მითხრა:

— ნუ და-გვცი-ნით!

**თ. გიორგაძე,**
ლენინგრადი.

ლელო

მე-8 გ3. № 18 (1500)

# გრიგალი მძვინვარებდა სკვო ველში

## ევროპის სხვადასხვა გაზეთების კომენტარები

## გენერალური რეპეტიციისათვის ეძებენ პარტნიორს

## მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს 61 ქვეყანა

## როგორ იპოვა მისტერ კუშინგმა ოქრო

ნაპრალებითა და ვიწრო ხეობებით დასერილი კალიფორნიის სიერა-ნევადა უოშის ტომის ინდიელთა სანადირო ადგილს წარმოადგენდა უძველეს დროში. მშვილდ-ისრით შეიარაღებულნი მიჰყვებოდნენ ისინი ნადირის კვალს, ხოლო მათი ყოჩაღი, შრომისმოყვარე სკვები (ქალები) ქარისაგან დაცულ დაბლობში რჩებოდნენ და მამაკაცების დაბრუნებას ელოდნენ. აქ, სკვო ველში („ინდიელ ქალთა ველი"), რამდენიმე დღეში დაიწყება ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშები.

„ინდიელ ქალთა ველზე" გამართული თამაშების ნახვის ფასი შეფარდებული იქნება სიერა-ნევადის თოვლით დაფარულ მწვერვალებთან. დავიწყოთ შესასვლელი ბილეთებით. დაიბეჭდება ბილეთები ყველა შეჯიბრებაზე დასასწრებად. მათი ღირებულებაა 200-250 დოლარი. იქნება აგრეთვე 60-დოლარიანი ბილეთები, რომელთა მფლობელებს უფლება ექნებათ დაესწრონ მხოლოდ სათხილამურო შეჯიბრებებს.

მთავარ სასტუმრო „მეიპლსში" ერთი ღამის გათევა ეღირება 20 დოლარი. ევროპელთა უმრავლესობას ასეთი



ფასი ალბათ ძილის ყოველგვარ ხალისს გაუფუჭებს. ამას დაუმატეთ, რომ გადაფრენა ევროპა-ნიუ-იორკი-სან-ფრანცისკო-რენო (ქალაქია სკვო ველთან 68 კმ მანძილზე) და უკან დაბრუნება 1.000-ზე მეტი დოლარი დაჯდება.

მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის ცოდნა, რომ ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშების მომზადებამ 14 მილიონი დოლარი შთანთქა. ორგანიზატორები უკვე ახლა აღიარებენ, რომ უველაფერი ეს ფინანსური კრახით დამთავრდება და ყოველივე ამაში კი დამნაშავე იქნება მისტერ კუშინგი, რომელმაც 1954 წელს აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტი დაარწმუნა, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოწყობა ძალზე მომგებიანი ბიზნესი იქნებაო. თუმცა იმ დროს სკვო ველში არ იყო არც რკინიგზა, არც ფოსტა, არავითარი დაბა და ნაგებობანი. ერთი სიტყვით, თოვლით დაფარული მიდამოს გარდა.

ზემოხსენებული მისტერ კუშინგი, ნიუ-იორკელი ვექილია, რომელმაც ათიოდე წლის წინ მიატოვა დიდი ქალაქის მშფოთვარე ცხოვრება და თავის დანაზოგებით მიყრუებულ სკვო ველში გადასახლდა სათხილამურო სპორტის მოყვარულ მეგობართან ერთად.

როცა 1954 წელს ნევადის შტატის ქალაქმა რენომ აშშ-ს ოლიმპიურ კომიტეტში წამოაყენა თავისი კანდიდატურა 1960 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის, მისტერ კუშინგი გამოცოცხლდა და კალიფორნიის შტატის ხელისუფალნი დააინტერესა სკვო ველით. შემდეგ იგი უფლებამოსილ წარმომადგენლად გაემგზავრა ნიუ-იორკში და ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე 45 წუთი ილაპარაკა. მან ყველა აღფრთოვანებაში მოიყვანა თავისი მჭევრმეტყველებითა და სკვო ველის სიმშვენიერით.

მსგავსი ამბავი განმეორდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მომდევნო სხდომებზე, თუმცა კომიტეტს 1960 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებელ ადგილად გათვალისწინებული ჰქონდა ინსბრუკი (ავსტრია).

ამ კომიტეტის სხდომაზე კენჭისყრისას ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. ბოლოს, შვეიცარიისა და დასავლეთ გერმანიის დელეგატთა დახმარებით, ერთი ხმის უმრავლესობით გადაწყდა 1960 წლის ზამთრის თამაშები ჩატარებულიყო არა ინსბრუკში, სადაც იდეალური პირობებია, არამედ აქამდე სრულიად უცნობ „ინდიელ ქალთა ველზე".

მაგრამ მისტერ კუშინგსა და აშშ-ს ოლიმპიურ კომიტეტს შორის დიდი განხეთქილება მოხდა, როცა საქმე მიდგა ნაკვეთის შესყიდვაზე. დოკუმენტებში ამ მიწების მფლობელად აღნიშნული იყო მისტერ ა. კუშინგი. იგი ძალზე მოხერხებული აღმოჩნდა და რამდენიმე ხნით ადრე სულ მუქთად შეიძინა ეს ადგილები. ორგანიზატორები გადაუჭრელი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, უკან დახევა შეუძლებელი იყო და იძულებული იყვნენ გაცილებით მაღალი ფასები შეეძლიათ მთელი სკვო ველისათვის.

ის, რასაც თავის დროზე უოშის ტომის ინდიელები ამაოდ ეძებდნენ სკვო ველში, იპოვნა მისტერ კუშინგმა: ოქრო, ბევრი ოქრო.

• • •

**სურათზე:** სკვო ველის საციგურაო სარბიელი.

## უძლიერესი გუნდები ევროპაში

ევროპის სპორტული პრესა ფართო კომენტარს უკეთებს გასული წლის საფეხბურთო სეზონს. აი, როგორი თანმიმდევრობით წარმოუდგენიათ უძლიერესი ნაკრები გუნდები სხვადასხვა სპორტულ გაზეთებს.

**„პშეგლონდ სპორტოვი"** (პოლონეთი) 1-2. სსრ კავშირი და ესპანეთი. 3-5. უნგრეთი, საფრანგეთი და შვეცია. 6-14. შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ირლანდია, ინგლისი, იტალია, ავსტრია და იუგოსლავია.

**„ინტერნაციონალეს შპორტეხო"** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) 1. უნგრეთი, 2. საფრანგეთი, 3. ესპანეთი, 4. სსრ კავშირი, 5. შვეცია, 6. ჩეხოსლოვაკია, 7. იუგოსლავია, 8. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 9. ბულგარეთი, 10. ინგლისი.

**„ნეპ-შპორტი"** (უნგრეთი) 1. უნგრეთი, 2. საფრანგეთი, 3. შვეცია, 4. ესპანეთი, 5. სსრ კავშირი, 6. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 7. იუგოსლავია, 8. ჩეხოსლოვაკია, 9. ბულგარეთი, 10. შოტლანდია.

**„ფრანს-ფუტბოლი"** (საფრანგეთი). 1. უნგრეთი, 2. საფრანგეთი, 3. ესპანეთი, 4. შვეცია, 5. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 6. იუგოსლავია, 7. ჩეხოსლოვაკია, 8. შოტლანდია, 9. ბულგარეთი, 10. ავსტრია.

**„იდროტსბლადეტი"** (შვეცია). 1-2. უნგრეთი და საფრანგეთი. 3-5 სსრ კავშირი, შვეცია და ესპანეთი. 6-8. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია. 9-12. იტალია, ინგლისი, ავსტრია და შოტლანდია.

**„სპორტი"** (იუგოსლავია) .1. უნგრეთი, 2. საფრანგეთი, 3. ესპანეთი, 4. შვეცია, 5. სსრ კავშირი, 6. იუგოსლავია, 7. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 8. ჩეხოსლოვაკია, 9. ბულგარეთი, 10. ინგლისი.

**„არბაიტერცაიტუნგი"** (შვეიცარია). 1. უნგრეთი, 2. საფრანგეთი, 3. ესპანეთი. 4. შვეცია.

**„სპორტმეგეზინი"** (ინგლისი) 1. უნგრეთი, 2. საფრანგეთი, 3. ესპანეთი, 4. შვეცია, 5. სსრ კავშირი, 6. ჩეხოსლოვაკია, 7. იუგოსლავია, 8. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 9. ინგლისი, 10. შოტლანდია.

## საორგანიზაციო კომიტეტში

სანტ-იაგოში (ჩილი) დაიწყო ფეხბურთში მსოფლიო VII ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელიც 18 თებერვლამდე გასტანს. იგი განიხილავს შეჯიბრების მომწყობი ქვეყნის — ჩილის ფედერაციის წინადადებას: დაიწყოს მომავალი ჩემპიონატი თუ არა 1962 წლის 15 მარტს. როგორც ცნობილია, ეს თარიღი არ აწყობთ მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებს, რომლებიც მოითხოვენ დროის გადაწევას. თათბირზე უნდა გადაწყდეს ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც — ესაა შეჯიბრებაში მონაწილე ქვეყნების დანაწილება ქვეჯგუფებად. შეჯიბრება ქვეჯგუფებში მომავალ წელს დაიწყება.

სულ VII ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღეს 61 ქვეყანა. ეს სარეკორდო რიცხვია ყველა ჩემპიონატისათვის.

## დაზიანდა ყინულის სარბიელი

როგორც ინგლისური გაზეთი „დეილი უორკერის" კორესპონდენტი იუწყება ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სკვო ველში 24 საათის განმავლობაში მძვინვარებდა საშინელი ძალის გრიგალი, რომელმაც ოლიმპიური სტადიონი 2 თებერვლისათვის გადააქცია ტალახის გუბედ.

სკვო პიკზე, სადაც უნდა მოეწყოს შეჯიბრება ვაქთა სლალომში, არსებულმა მეტეოსადგურმა აღნიშნა ქარის სიჩქარე 185 კმ საათში. ყინულის სარბიელი, რომელიც 4 მილიონი დოლარი დაჯდა, საგრძნობლად დაზიანდა.

ამ მოულოდნელმა შემთხვევამ საგონებელში ჩააგდო „თეთრი ოლიმპიადის" ორგანიზატორები, ვინაიდან შესაძლებელია ამგვარი რამ თამაშების ჩატარების დროსაც განმეორდეს.

• • •

მოეწყო ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ჰოკეისტთა გუნდების კენჭისყრა. სსრ კავშირის ნაკრები 18 თებერვალს შეხვდება ფინეთს, 20 — იაპონიას, 21 — ავსტრალიას, 23 — გერმანიას, 24 — ჩეხოსლოვაკიას, 25 — შვეციას, 27 — აშშ-ს, 28 — კანადას.

## ესპანელთა უარი

როგორც ცნობილია, ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ თანხმობა განუცხადა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას ე. წ. მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატში" მონაწილეობის მიღებაზე. მაგრამ ამ დღეებში ესპანელებმა უარი განაცხადეს სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებაზე. ამას ისინი განმარტავენ იმით, რომ საჭიროა სერიოზული მზადება საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შეხვედრის წინ. 1 მაისს ისინი ვენაში ხვდებიან ავსტრიის ნაკრებს. 15 მაისს დანიშნული იყო ე. წ. „სპარინგ-მატჩი" ლონდონში ინგლისის ნაკრებთან, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგება, ვინაიდან ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას არ აწყობს მატჩის თარიღი. ამჟამად ესპანელები ეძებენ პარტნიორს „გენერალური რეპეტიციის" ჩასატარებლად (საბჭოთა ფეხბურთელები უკანასკნელ საწვრთნელ მატჩს ატარებენ პოლონეთის ნაკრებთან მოსკოვში 19 მაისს).

ამას წინათ ეროვნული ჩემპიონატის მატჩში ტრავმა მიიღო დი სტეფანომ. მიმომხილველთა ცნობით, მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები ესპანეთის ნაკრებში, ვინაიდან მისი ბირთვი — „ბარსელონა" უკანასკნელ ხანებში საკმაოდ წარუმატებლად თამაშობს.

## ჟიულ ვერნის გმირის კვალდაკვალ

ნიუ-იორკის გაზეთის — „უორლდის" რედაქტორს მაგიდაზე ედო დეპეშა: „მე არასოდეს არ ვეჭვობდი ნელი ბლაის წარმატებაში... ვაშა მას! ჟიულ ვერნი". იმავე დროს ნიუ-იორკის ფორტებში ზარბაზნებმა მისცეს მეათე ზათქი იმავე ნელი ბლაის საპატივცემლოდ, რომელიც მატარებლით შემოდიოდა სადგურში.

ვინ იყო ნელი ბლაი? 22 წლის ქალიშვილი, „უორლდის" კორესპონდენტი, რომელმაც მიზნად დაისახა ჟიულ ვერნის რომანის — „80 დღეში დედამიწის გარშემო" — გმირის, ფოგის „რეკორდის" მოხსნა. როგორც ცნობილია, ფოგი რომანის ფურცლებზე 80 დღე მოანდომა მოგზაურობას დედამიწის ირგვლივ. ნელი ბლაი კი ნიუ-იორკში შემოდიოდა 73-ე დღეს, მას შემდეგ, რაც იგი ამავე ქალაქიდან გემით გაემგზავრა ლონდონისაკენ. ნელი ბლაის მთელს მოგზაურობას, რომლის მარშრუტი იყო: ნიუ-იორკი — ლონდონი — პარიზი — ბრინდიზი — სუეცი — ცეილონი — სინგაპური — ჰონკონგი — იოკოჰამა — სან-ფრანცისკო — ნიუ-იორკი.

ეს მოხდა 1889 წელს, ჟიულ ვერნის სიცოცხლეშივე, რომელიც ნელი ბლაიმ თავისი მოგზაურობის „ტრასაზე" ინახულა.

ღირდა თუ არა ნელი ბლაის „რეკორდი" ამდენ ხმაურად?

ამაზე პასუხს შემდეგი ფაქტი გვაცემს: სულ ახლახან, გასულ წელს ,იმავე ფილეას ფოგის „რეკორდის" მოხსნა მოინდომა დანიელმა ჟურნალისტმა ქრისტეფერსონმა. მან ნიძლავიც დაუდო ერთერთ კლუბს, რომ იგი ისარგებლებდა მხოლოდ ჟიულ ვერნის დროს არსებული ტრანსპორტის სახეობებით. მაგრამ გამგზავრების პუნქტს ქრისტეფერსონი მხოლოდ 129-ე დღეს დაუბრუნდა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. უე 01539